

დისტანციური რეგისტრაციის პირობები

- წინამდებარე პირობები განსაზღვრავს სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიაში“ (შემდგომში ბანკი) ანგარიშის გახსნის მიზნით ბანკის სისტემაში ფიზიკური პირის დისტანციურად რეგისტრაციას.
- კანონმდებლობით დადგენილი წესით და მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით, ბანკი იღებს ფიზიკური პირისგან, რომელსაც სურს დისტანციურად რეგისტრაცია და ბანკში ანგარიშის გახსნა, და ამუშავებს მის პერსონალურ და ბიომეტრიულ ინფორმაციას და წარმატებული მცდელობის შემთხვევაში არეგისტრირებს მას ბანკის მომხმარებლად და უხსნის მას საბარათე ანგარიშს.
- დისტანციურად რეგისტრაციის პროცესში ფიზიკური პირი ადასტურებს რომ:
 - მას სურს სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიაში“ გახსნას საბარათე ანგარიში და მიიღოს შესაბამისი ბარათი;
 - მის მიერ გაცხადებული/მიწოდებული ინფორმაცია არის უტყუარი და ზუსტი;
 - ბანკს უფლება აქვს დაამუშავოს ფიზიკური პირის მიერ მიწოდებული პერსონალური და ბიომეტრიული ინფორმაცია მისთვის საბანკო მომსახურების მიწოდების მიზნით და საკონტაქტოდ.
- ფიზიკური პირისათვის ცნობილია, რომ იმ კომპანიისათვის, რომელიც ტექნიკურ მხარდაჭერას უწევს ბანკს (შემდგომ „მხარდამჭერი კომპანია“), ხელმისაწვდომი ხდება შემდეგი ინფორმაცია:
 - პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტზე არსებული მისი პირადი მონაცემები;
 - მისი ბიომეტრიული მონაცემები, მათ შორის რეგისტრაციის პროცესში გადაღებული ფოტო და ვიდეო, ფიზიკური პირის მიერ წარმოდგენილ პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტზე არსებული ფოტო და სსგს-ს ბაზაში დაცული მისი ფოტო;
 - სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიაში“ ანგარიშის გახსნის შესახებ მის მიერ გამოხატული ნება;
 - სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიაში“ მისი ანგარიშის არსებობის/არარსებობის ფაქტი.
- ბანკი აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ:
 - ამ ინფორმაციის მხარდამჭერი კომპანიისათვის გადაცემის მიზანს წარმოადგენს ფიზიკური პირისათვის საბანკო მომსახურების გაწევა;
 - მხარდამჭერი კომპანია ამ ინფორმაციას არ გადაცემს სხვა პირებს ან/და არ გამოიყენებს სხვა მიზნებისათვის;
 - ინფორმაცია დაუყონებლივ წაიშლება მხარდამჭერი კომპანიის მიერ მას შემდეგ, რაც ამ კომპანიის ტექნიკური მხარდამჭერის აუცილებლობა ამოიწურება.
- წარმატებული დისტანციურად რეგისტრაციის შედეგად გახსნილი ანგარიში აქტიურია გახსნისთანავე და ფიზიკურ პირს აქვს მისით მყისიერი სარგებლობის საშუალება.
- თუ ფიზიკურ პირს ბარათის მიღება სურს თბილისის ადმინისტრაციული საზღვრების ფარგლებში, ბანკი მას მიაწოდებს ბარათს მის მიერ მითითებულ მისამართზე, ხოლო

რეგიონის შემთხვევაში ბარათი მიეწოდება მის მიერ მითითებულ ბანკის გაყიდვის წერტილში.

8. დისტანციურად ბანკის მომხმარებლად რეგისტრაციის და ანგარიშის გახსნის პროცესში ყველა აუცილებელი ხელშეკრულება ფორმდება დისტანციურად და მათ აქვთ ფიზიკური ხელშეკრულების ძალა.